

## დუბლინის გასაუბრება ფინეთის საიმიგრაციო სამსახურში

თქვენ მიწვეული ხართ გასაუბრებაზე ფინეთის საიმიგრაციო სამსახურის მიერ. გთხოვთ, ყურადღებით წაიკითხოთ ეს ინსტრუქციები, რომლებიც განმარტავს თქვენს უფლებებსა და მოვალეობებს გასაუბრების დროს. თუ თქვენ გაქვთ რაიმე შეკითხვები ამ ინსტრუქციებთან დაკავშირებით, შეგიძლიათ დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართოთ ფინეთის საიმიგრაციო სამსახურის თანამშრომელს გასაუბრების დასაწყისში.

### რა არის ამ ინტერვიუს მიზანი?

- თქვენ მოითხოვთ თავშესაფარი ფინეთში. ფინეთის საიმიგრაციო სამსახური არ განიხილავს თქვენს განაცხადს დეტალურად, სანამ არ დადგინდება ქვეყანა, რომელიც პასუხისმგებელია თქვენი განაცხადის დამუშავებაზე.
- გასაუბრებაზე მოგეთხოვებათ იმ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც გავლენას მოახდენს თქვენი განაცხადის ფინეთში განხილვის ან მისი არდამუშავების გადაწყვეტილებაზე. თავშესაფრის მოთხოვნის თქვენი საფუძველი ამ გასაუბრებაზე არ იქნება განხილული.
- ქვეყანა, რომელშიც თქვენი განაცხადი განიხილება, განისაზღვრება ეგრეთ წოდებული დუბლინის რეგულაციაში დადგენილი პროცედურის მიხედვით, რომელიც ევროკავშირის კანონმდებლობის ნაწილია.
- დუბლინის გასაუბრების საფუძველზე, ფინეთის საიმიგრაციო სამსახური განსაზღვრავს, თუ რომელი ქვეყანაა პასუხისმგებელი თქვენი განაცხადის დამუშავებაზე და განიხილება თუ არა თქვენი განაცხადი ფინეთში.

- დუბლინის რეგულაციის ქვეყნებში შედის ევროკავშირის ყველა ქვეყანა, ნორვეგია, შვეიცარია, ისლანდია და ლიხტენშტეინი.
- თქვენი განაცხადი შეიძლება ასევე არ განიხილონ, თუ უკვე მიიღეთ საერთაშორისო დაცვა ევროკავშირის სხვა ქვეყანაში. ამ შემთხვევაში, დუბლინის პროცედურა არ გავრცელდება თქვენზე და გასაუბრების მიზანია დადგინდეს რაიმე მიზეზი, რის გამოც თქვენი განაცხადი მაინც უნდა განიხილებოდეს ფინეთში.
- თუ გსურთ განაცხადის გაკეთება ბინადრობის ნებართვის მისაღებად სხვა საფუძველზე, უნდა წარადგინოთ ცალკე განაცხადი, რისთვისაც უნდა გადაიხადოთ საფასური. ასეთი საფუძველი შეიძლება მოიცავდეს ოჯახურ კავშირებს.

## რა უფლებები გაქვთ გასაუბრებაზე?

- თქვენ გაქვთ უფლება, გასაუბრებაზე მოიყვანოთ იურიდიული დამცველი. იურისტი მიიღებს მონაწილეობას გასაუბრებაში ისე, როგორც ჩათვლის საჭიროდ.
- თქვენ თავად უნდა იპოვოთ იურისტი. თუ არ გეყოლებათ იურისტი გასაუბრებაზე, ჩვენ მაინც შეგვიძლია გავაგრძელოთ გასაუბრება იურისტის გარეშე.
- გასაუბრებაზე იქნება თარჯიმანი. თარჯიმნის ამოცანაა თარგმნოს ყველაფერი, რაც გასაუბრებაზე იქნება ნათქვამი, რომელიმე მხარის დაჭერის გარეშე. თარჯიმანი ან პირადად იქნება, ან შესაძლოა თარგმანისთვის გამოყენებული იყოს სატელეფონო კავშირი ან ვიდეო ბმული.
- ინტერვიუერს, თარჯიმანს და იურისტს ეკისრება საიდუმლოების დაცვის მოვალეობა. ეს ნიშნავს, რომ მათ არ უნდა უთხრან უცხო პირებს იმის შესახებ, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ გასაუბრების დროს. ჩვენ შეგვიძლია თქვენი ინფორმაცია საიდუმლოდ შევინახოთ თქვენი ოჯახის წევრებისგან, თუ მათთვის ინფორმაციის მიწოდება თქვენ ან თქვენს საყვარელ ადამიანს რისკის ქვეშ დააყენებს ან ზიანს მოგაყენებთ. თქვენ შეგიძლიათ გვითხრათ რას ფიქრობთ ამის შესახებ ინტერვიუში.
- როგორც წესი, თქვენთან დაკავშირებული დოკუმენტები საიდუმლოდ უნდა იყოს დაცული.

## რა ვალდებულებები გაქვთ გასაუბრებაზე?

- თქვენს ინტერესშია, გასაუბრების დროს თქვით სიმართლე ყველაფერზე, რაც გავლენას მოახდენს თქვენს განაცხადზე.
- ასევე თქვენს ინტერესშია რთულ საკითხებზე საუბარი.
- თუ არის რაღაც, რაც არ გახსოვთ ან არ იცით, ნუ ეცდებით პასუხის მოგონებას. ცრუ ინფორმაციის მოწოდება, თქვენი ამბის დაჯერებას გაართულებს.
- გასაუბრებაზე უნდა გასცეთ სწორი პერსონალური ინფორმაცია. თუ არ გაქვთ რაიმე საბუთი თქვენი ვინაობის დასადასტურებლად, თქვენ უნდა ეცადოთ მიიღოთ ეს დოკუმენტები და გადასცეთ ისინი ფინეთის საიმიგრაციო სამსახურს. ასეთი დოკუმენტების მაგალითებია პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები ან სამგზავრო დოკუმენტი. თქვენ შეგიძლიათ მოგვიანებით შეცვალოთ თქვენს მიერ მოწოდებული პერსონალური მონაცემები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაქვთ ხელისუფლების მიერ გაცემული სანდო პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- ფინეთის საიმიგრაციო სამსახური ინახავს თქვენს პირად ინფორმაციას და განაცხადის საფუძველს საიმიგრაციო საკითხებზე საქმის მართვის სისტემაში, რომელიც არის ოფიციალური რეესტრი. ოფიციალური რეესტრისთვის ყალბი ინფორმაციის მიცემა დასჯადია.
- კანონის თანახმად, ხელისუფლებისთვის ყალბი პერსონალური ინფორმაციის მიწოდება დასჯადი დანაშაულია.
- გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თუ თქვენ აწვდით ცრუ ინფორმაციას, ან შეინახავთ სწორ ინფორმაციას საიდუმლოდ, ნებართვა, რომელსაც მიიღებთ, შეიძლება მოგვიანებით გაუქმდეს. ეს ასევე გაართულებს თქვენი სხვა საკითხების დამუშავებას.

## როგორ მოემზადო გასაუბრებისთვის?

- ინტერვიუს დაწყებამდე წაიკითხეთ ყველა ინსტრუქცია და ბროშურა, რომელიც მოგცათ ხელისუფლებამ. მნიშვნელოვანია, რომ ყოველთვის წაიკითხოთ ბროშურები დუბლინის პროცედურის შესახებ. თუ თქვენ არ გაქვთ ეს ბროშურები, მათი ნახვა შეგიძლიათ ფინეთის საიმიგრაციო სერვისების ვებგვერდზე: <https://migri.fi/en/brochures-and-publications>. თქვენ შეგიძლიათ მოიძიოთ ისინი სათაურით "თავშესაფარი და დუბლინის პროცედურა".
- თუ გაქვთ დასაბუთებული მიზეზი, რომ ითხოვთ, რომ თარჯიმანი ან ინტერვიუერი იყოს ქალი ან მამაკაცი, ამის შესახებ უთხარით მიმღების ცენტრის თანამშრომელს გასაუბრებამდე. მიმღები ცენტრი თქვენს მოთხოვნას ფინეთის საიმიგრაციო სამსახურს გაუგზავნის. ფინეთის საიმიგრაციო სამსახური შეაფასებს, გამართლებულია თუ არა მიზეზი.

- თუ თქვენმა ფიზიკურმა ან ფსიქიკურმა ჯანმრთელობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს გასაუბრების ჩატარებაზე, უთხარით ამის შესახებ მიმღების ცენტრის თანამშრომელს. თქვენი თანხმობით, მიმღებ ცენტრს შეუძლია დაუკავშირდეს ფინეთის საიმიგრაციო სამსახურს გასაუბრებამდე.
- შეგიძლიათ თან იქონიოთ შეფუთული ლანჩი ან ლანჩის ფული.
- თან იქონიეთ ყველა მედიკამენტი, რომელიც გჭირდებათ დღის განმავლობაში.
- ასევე მოიტანეთ ყველა დოკუმენტი და ანგარიში თქვენი განაცხადისთვის. გასაუბრებაზე თქვენ უნდა აგვიხსნათ, რა არიან ისინი და რისი დამტკიცება გასურთ მათთან.
- არ წამოიყვანოთ თან ბავშვები. თუ თქვენ გჭირდებათ ვინმე, რომელიც თქვენს შვილს მიხედავს გასაუბრების დროს, აცნობეთ ამის შესახებ მიმღებ ცენტრს გასაუბრების დღემდე.
- არ დააგვიანოთ გასაუბრებაზე. სწორად გათვალეთ მგზავრობისთვის საჭირო დრო. მიმღები ცენტრი გეტყვით, როგორ მოხვდეთ ფინეთის საიმიგრაციო სამსახურში.

## რა უნდა გააკეთოთ ფინეთის საიმიგრაციო სამსახურში გასაუბრების დღეს

- მნიშვნელოვანი მიზეზის გარეშე, თქვენ ვერ შეძლებთ გასაუბრების თარიღის შეცვლას. თუ გასაუბრების დღეს ავად ხართ, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეთ თქვენს მიმღებ ცენტრს. თქვენ უნდა გაუგზავნოთ მიმღების ცენტრის ექთნის ან ექიმის ანგარიში ფინეთის საიმიგრაციო სამსახურს გასაუბრების დღიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა. თუ თქვენ ვერ გამოცხადდით გასაუბრებაზე დასაბუთებული მიზეზის გარეშე, გადაწყვეტილება თქვენს განაცხადთან დაკავშირებით შეიძლება მიღებულ იქნეს თქვენთან გასაუბრების გარეშე.
- როდესაც მიხვალთ ფინეთის საიმიგრაციო სამსახურის შენობაში, შეიძლება ჩაგიტარდეთ უსაფრთხოების შემოწმება.
- აჩვენეთ ფინეთის საიმიგრაციო სამსახურის დაცვის თანამშრომელს კლიენტის ბარათი, რომელიც მიმღებ ცენტრმა მოგცა.
- მოსაცდელ დარბაზში მისვლა შეუძლიათ მხოლოდ გასაუბრებაზე მოწვეულ პირებს და ფინეთის საიმიგრაციო სამსახურის მიერ წინასწარ მიღებულ პირებს.
- თუ გასურთ დამხმარე პირის მოყვანა, თქვენ ან თქვენმა დამხმარე პირმა ამის შესახებ წერილობით უნდა მიმართოთ ფინეთის საიმიგრაციო სამსახურს გასაუბრებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინტერვიუერი გასაუბრების დაწყებისას გადაწყვეტს, შეიძლება იყოს თუ არა დამხმარე პირი თქვენთან ერთად. დამხმარე პირი არ არის იურიდიული მრჩეველი და ის არ მონაწილეობს თქვენი საკითხების განხილვაში.
- ინტერვიუერი მუშაობს ფინეთის საიმიგრაციო სამსახურში. ეს თანამშრომელი ან პირადად იქნება, ან გასაუბრება ჩატარდება ვიდეო ბმულით.

- გასაუბრება ჩაიწერება. ოთახში არის ასევე CCTV კამერა, რომელიც ვიდეოს იწერს.
- საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლიათ გასაუბრების დროს შეისვენოთ. ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მოითხოვოთ შესვენება.

## რა ხდება გასაუბრებაზე?

- ინტერვიუერი პირველ რიგში აგისხნით რა მოხდება გასაუბრების დროს და დარწმუნდება, რომ თქვენ იცით თქვენი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. თუ რამე ვერ გაიგეთ, იკითხეთ. თუ არ გესმით თარჯიმანის, შეგიძლიათ თქვათ.
- ინტერვიუერი მოგთხოვთ შემდეგ ინფორმაციას:
  - თქვენი ვინაობა
  - ინფორმაცია თქვენი ოჯახისა და ნათესავების შესახებ
  - ინფორმაცია თქვენი ბინადრობის ნებართვების, ვიზებისა და თავშესაფრის განაცხადების შესახებ სხვა ქვეყნებში
  - ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად ცხოვრობდით ევროპაში ფინეთში ჩამოსვლამდე
  - თქვენი მოგზაურობის მარშრუტი ფინეთისკენ
  - მიზეზები, თუ რატომ არ უნდა გაგაგზავნონ ფინეთიდან ("უარყოფილი დაშვება")
  - მიზეზები, თუ რატომ უნდა განიხილებოდეს თქვენი განაცხადი ფინეთში, თუ თქვენ მიიღეთ საერთაშორისო დაცვა სხვა ქვეყანაში
  - როგორ გრძნობთ თავს ფინეთიდან გამგზავრებაზე („ქვეყნიდან გაძევება“) და ფინეთში ჩამოსვლის აკრძალვაზე („შესვლის აკრძალვა“)
- შეკითხვებს უპასუხეთ უპასუხეთ გულწრფელად. ნუ შეაღამაზებთ პასუხებს. თუ რაიმე არ იცით ან ვერ იხსენებთ, ასევე უთხარით ინტერვიუერს.
- გასაუბრებაზე შეგიძლიათ ფინეთის საიმიგრაციო სამსახურს მიაწოდოთ ინფორმაცია, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს თქვენს შემთხვევაში გადაწყვეტილებაზე. მაგალითად, თუ თქვენ ხართ ექვმიტანილი დანაშაულში ფინეთში, ან თუ ნასამართლევია ხართ დანაშაულისთვის ამ ქვეყანაში, ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს თქვენი საქმის განხილვაზე ფინეთის საიმიგრაციო სამსახურში. საჭიროების შემთხვევაში, ფინეთის საიმიგრაციო სამსახური მოგცემთ შესაძლებლობას გასაუბრების დროს დააფიქსიროთ თქვენი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით.
- დასასრულს, თარჯიმანი წაგიკითხავთ ინტერვიუერის მიერ დაწერილ ოქმს. თუ შეამჩნევთ მასში შეცდომებს, უთხარით ინტერვიუერს. თქვენ ასევე შეგიძლიათ დაამატოთ ინფორმაცია ოქმს. ამის შემდეგ, ოქმს მოეწერება ხელი და თქვენ მიიღებთ მის ასლს.



## რა ხდება გასაუბრების შემდეგ?

- დუბლინის რეგულაცია აყალიბებს სხვადასხვა მიზეზებს, თუ რატომ არის კონკრეტული ქვეყანა პასუხისმგებელი თქვენი განაცხადის განხილვაზე. ეს მიზეზები შემდეგია: 1) დუბლინის ქვეყნებში მცხოვრები ოჯახის წევრები, 2) ვიზა ან ბინადრობის ნებართვა დუბლინის ქვეყნებში, 3) ბინადრობს ან ტრანზიტით არის დუბლინის ქვეყნებში, ან 4) თავშესაფრის ადრინდელი განაცხადი. ფინეთის საიმიგრაციო სამსახური განიხილავს ყველა ამ მიზეზს დუბლინის რეგულაციაში გათვალისწინებული მნიშვნელობის მიხედვით.
- თუ გსურთ მოგვიანებით მოგვაწოდოთ მეტი ინფორმაცია, შეგიძლიათ ამის გაკეთება წერილობით. ჩვენ არ ვისაუბრებთ თქვენს საქმეზე ტელეფონით, რადგან ჩვენ ვერ ვამოწმებთ აბონენტის ვინაობას.
- გადაწყვეტილება თქვენს განაცხადზე დაფუძნებული იქნება თქვენს მიერ გასაუბრებაზე მოწოდებულ ინფორმაციაზე და თქვენს საქმეში წარმოდგენილ სხვა დოკუმენტებზე. ფინეთის საიმიგრაციო სამსახურს ასევე შეუძლია გამოიყენოს საჯარო წყაროები ინფორმაციის მოსაძებნად, ამყარებს მის გადაწყვეტილებას.
- თუ გადაწყვეტილება მიიღება თქვენი გაგზავნის შესახებ სხვა ქვეყანაში („უარი დაშვებაზე ან დარჩენაზე“), შეგიძლიათ გაასაჩივროთ გადაწყვეტილება სასამართლოში. თქვენ ასევე შეგიძლიათ მოითხოვოთ, რომ სასამართლომ მოგცეთ უფლება დარჩეთ ფინეთში, სანამ სასამართლო არ განიხილავს თქვენს საჩივარს.
- თუ თქვენი განაცხადი ფინეთში არ განიხილება, შეიძლება გაგაგზავნონ ფინეთიდან („უარი დაშვებაზე ან დარჩენაზე“) ან გითხრან, რომ არ შეგიძლიათ ფინეთში ჩამოსვლა („შესვლის აკრძალვა“).
- თუ თქვენი განცხადება არ განიხილება ან თქვენ მას გამოითხოვთ, თქვენ გაქვთ უფლება მიმართოთ ნებაცოფლობით დაბრუნების მხარდაჭერას. ეს მხარდაჭერა მოცემულია გარკვეულ პირობებში, რაც შემოწმდება მასზე განაცხადის შეტანისას. მოითხოვთ დამატებითი ინფორმაცია თქვენს მიმღებ ცენტრში ან იხილეთ საკონტაქტო ინფორმაცია ნებაცოფლობით დაბრუნებისთვის დახმარებაზე ფინეთის საიმიგრაციო სამსახურის ვებსაიტზე <https://migri.fi/en/return>.